მრავალი იერიში... და 1 ბურთი

“დინამო” (თბილისი) – ვმს (მოსკოვი) – 1:0 (1:0).
თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონი. 2 ივლისი.
მსაჯი: ნ. გუზიევი (დონის როსტოვი).

თბილისის “დინამოსა” და ვმს–ის გუნდების შეხვედრა ფეხბურთის მოყვარულთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა, რადგან პირველ წრეში მეზღვაურებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს დინამოელებს და თამაში ფრედ (0:0) დაამთავრეს.

შეჯიბრების პირველი წუთებიდანვე აშკარა გახდა გუნდების ტაქტიკური სქემა. თბილისელები თამაშობდნენ გაშლილი ფრონტით, მთელი მოედნის სიგანეზე და ზუსტი განივი გადაცემებით მიზნად ისახავდნენ კომბინაციების დასამთავრებლად გარემარბების ან ცენტრალური თავდამსხმელის კართან გაყვანას. მეზღვაურებმა დაცვაში პერსონალური დარაჯობის სისტემა აირჩიეს, რაც სწრაფ და მაღალტექნიკურ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში მათთვის არახელსაყრელი აღმოჩნდა. ღოღობერიძე (#10) თითქმის ყოველ შებმაში ჯობნიდა ლარინს (#5) და მისი თავიდან “მოცილების” შემდეგ ზედიზედ ქმნიდა სახიფათო მომენტებს სტუმრების საჯარიმო მოედანზე.

დინამოელებმა ბურთის გატანის მრავალი ხელსაყრელი შესაძლებლობა დაკარგეს (თოდრია, გაგნიძე, ჯოჯუა) და მხოლოდ 25–ე წუთზე გახსნეს ანგარიში: ზაზროშვილმა შესანიშნავად მოატყუა ორი მცველი და ახლო მანძილიდან ბურთი ზუსტი დარტყმით გაგზავნა კარში.

რამდენიმე ხნის შემდეგ ფეხის დაშავების გამო ღოღობერიძე ჭკუასელმა შეცვალა.

მეორე ტაიმი პირველისაგან არაფრით არ განსხვავდებოდა: თბილისელები ისევ ენერგიულად, მეთოდურად უტევდნენ მოწინააღმდეგეს, მაგრამ მათ ვერ გამოიყენეს აშკარა უპირატესობა.

20 წუთის განმავლობაში დინამოელები არ მოშორებიან ვმს–ის საჯარიმო მოედანს, მაგრამ გოლის გატანა, არ იქნა და არა – ვერ მოახერხეს. რამდენიმე მეტად ძნელი ბურთი აიღო სტუმრების მეკარე სამსონოვმა.

მეზღვაურები მთლიანად გადავიდნენ კარის დაცვაზე და ბურთის უსისტემოდ მოგერიება დაიწყეს. 3–ჯერ მათი კარი აშკარა გოლისაგან ძელმა იხსნა, ერთხელ კი დუგანოვმა (#3) ხელით დაიჭირა ზაზროშვილი (#9), რომელიც პირისპირ გადიოდა მეკარესთან.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის “დინამოს” ამ შეჯიბრებაში აბსოლუტური უპირატესობა ჰქონდა, ანგარიში მის სასარგებლოდ მინიმალური – 1:0 – დარჩა.

ასევე (1:0) მოიგეს შეხვედრა თბილისელთა დუბლიორებმაც.

შ. შავგულიძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი.
“ლელო”, 6 ივლისი 1951 წ.